[●], 2023წ.

სს „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

მუხლი 1 - შესავალი

1.1. **სააქციო საზოგადოება „საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი“** (შემდგომში **„ფონდი“**) არის სააქციო საზოგადოება რომელსაც მართავს და 100%-ით ფლობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

1.2. ფონდის მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყნის ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზაციას და შესაბამისი თანხების მოძიებას პროექტების შემუშავებით და მათი ეფექტური განხორციელებით. ფონდის ძირითადი მიზნებია განახლებადი ენერგიის წყაროების პერსპექტიული პროექტების მოძიება და მათი განვითარების ხელშეწყობა (შემდგომში „პროექტები“). ამის საფუძველზე, ფონდი ძირითადად ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს:

1.2.1. წინასწარი კვლევითი სამუშაოების ჩატარება;

1.2.2. პროექტების წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება;

1.2.3. გარემოზე ზემოქმედების წინასწარი შეფასება;

1.2.4. ინვესტორების მოძიება და მათი დაინტერესების ამაღლება არსებული პროექტების მიმართ.

1.3. ამ მიზნების მისაღწევად, ფონდი თანამშრომლობს ინვესტორებთან და მესამე მხარეებთან, და უწევს მათ გარკვეულ მომსახურებებს, მათ შორის:

1.3.1 მშენებლობისთვის საჭირო ყველა დოკუმენტის მომზადება, მათ შორის მშენებლობის უფლებებისა და ლიცენზიების მოპოვება;

1.3.2 საპროექტო ფირმის მოძიება და სრული სამშენებლო პროექტის შეძენა;

1.3.3 პროექტის წინასწარი სქემატური დამუშავება ან წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების ანგარიშის მომზადება;

1.3.4 მშენებლობის პროცესის მონიტორინგი.

1.4. ფონდი მოქმედებს უმაღლესი ეთიკური და პროფესიული სტანდარტების შესაბამისად და გამოხატავს ვალდებულებას დაიცვას ფულის გათეთრების წინააღმდეგ (შემდგომში „AML“) და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ (შემდგომში „CFT“) ბრძოლის უმაღლესი სტანდარტები თავის საქმიანობაში და მოწოდებულია იმოქმედოს AML/CFT-ის საერთაშორისოდ აღიარებული

პრინციპებისა და ნორმების, ასევე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, დაცვით.

მუხლი 2 - მიზნები

2.1. წინამდებარე „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა“ (შემდგომში - „პოლიტიკა“) განსაზღვრავს ფონდის ძირითად პრინციპებსა და ღონისძიებებს AML/CFT-ში, რომლებსაც იგი იყენებს როგორც ზემოთ მითითებულ საკუთარ საქმიანობებში, ასევე ინვესტორებთან, პარტნიორებთან და კონტრაქტორებთან/მომწოდებლებთან ურთიერთობებში, პროექტების განსახორციელებლად (შემდგომში ერთობლივად წოდებულნი როგორც „კონტრაჰენტები“) ფონდის მიერ.

2.2. ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანია რიგი ღონისძიებების განსაზღვრა და მათი მუდმივად განხორციელების უზრუნველყოფა, რაც ეფექტურად ააცილებს თავიდან ფონდსა და მის პერსონალს შესაძლებლობას, რომ:

2.2.1. ჩართულ იქნენ ფულის გათეთრებაში და/ან გამოყენებულ იქნენ ფულის გასათეთრებლად ინვესტორებისგან თანხების მიღებისას ან კონტრაჰენტებისთვის მომსახურების გაწევისას, პროექტის განხორციელების მიზნით; და/ან

2.2.2. ჩართულ იქნენ ტერორიზმის დაფინანსებაში და/ან გამოყენებულ იქნენ ტერორიზმის დასაფინანსებლად კონტრაჰენტებისათვის დაფინანსების/გადახდების შესრულებისას პროექტის განხორციელების მიზნით.

2.3. ფონდი ითანამშრომლებს მხოლოდ იმ კონტრაჰენტებთან, რომლებიც ახორციელებენ კანონიერ ბიზნესს და რომლებსაც ფულადი სახსრები მიღებული აქვთ კანონიერი წყაროებიდან.

მუხლი 3 - გამოყენებადობა

3.1. აქ აღწერილი პრინციპები და პროცედურები გამოიყენება ფონდის ყველა საქმიანობაში, რომლებიც პროექტების განხორციელებას უკავშირდება. ფონდის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე პოლიტიკა. ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც დაარღვევს ამ პოლიტიკაში აღნიშნულ წესებს ან სხვა პირებს მისცემს მათი დარღვევის საშუალებას, დაექვემდებარება შესაბამის დისციპლინარულ ზომას (როგორც ეს გათვალისწინებულია ფონდის შინაგანაწესით) და შეიძლება დაექვემდებაროს სამოქალაქო ან სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

მუხლი 4 – ძირითადი განმარტებები

4.1. ფულის გათეთრება:

4.1.1. ქონების კონვერსია ან გადაცემა, იმის ცოდნით, რომ ასეთი ქონება მიღებულია დანაშაულებრივი საქმიანობიდან, ქონების უკანონო წარმოშობის დამალვის ან შენიღბვის მიზნით ან ნებისმიერი პირის დასახმარებლად, რომელიც მონაწილეობს ამგვარი საქმიანობის განხორციელებაში, ამ პირის მოქმედების სამართლებრივი შედეგების თავიდან ასაცილებლად;

4.1.2. ქონების ნამდვილი ბუნების, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის, მოძრაობის, ან მის ფლობასთან დაკავშირებული უფლებების დამალვა, იმის ცოდნით, რომ ასეთი ქონება მიღებულია დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად;

4.1.3. ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება, იმის ცოდნით ქონების მიღებისას, რომ იგი შექმნილია დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად.

4.2. ტერორიზმის დაფინანსება

ფინანსური სახსრების შეგროვება ან მიწოდება ნებისმიერი გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, იმ განზრახვით, რომ ისინი გამოყენებული იქნება, ან იმის შეცნობით, რომ ისინი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მთლიანად ან ნაწილობრივ ტერორისტული დანაშაულის მხარდასაჭერად და ტერორისტული საქმიანობის განსახორციელებლად, ან/და წინასწარი შეცნობით ტერორისტისათვის ან ტერორისტული ორგანიზაციისათვის მომსახურების გაწევა, ტერორისტისათვის სამალავის ან თავშესაფრის მიცემა ან/და ტერორისტის ან ტერორისტული ორგანიზაციის რესურსებით უზრუნველყოფა ან სხვაგვარი მატერიალური მხარდაჭერა. არაა სავალდებულო, რომ ეს სახსრები ფაქტობრივად სრულად ან ნაწილობრივ იქნეს გამოყენებული რომელიმე ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩასადენად ან მხარდასაჭერად, და არც ის მოითხოვება, რომ დამნაშავემ იცოდეს, თუ რომელი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად თუ მხარდასაჭერადაა გამიზნული ეს სახსრები

4.3. საბოლოო ბენეფიციარი მფლობელი (შემდგომში „UBO“):

პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ფლობს იურიდიული პირის 25% ან მეტ წილს ან ხმის მიცემის უფლების მქონე აქციებს ან სხვაგვარად ახორციელებს იურიდიული პირის სრულ კონტროლს.

4.4. მნიშვნელოვანი პოლიტიკური თანამდებობის პირი (შემდგომში „PEP“):

პირი, რომელსაც მინდობილი აქვს მნიშვნელოვანი საჯარო ფუნქციების შესრულება. კერძოდ:
ა) სახელმწიფოს მეთაურები, მთავრობის მეთაურები, მინისტრები და მინისტრის მოადგილეები ან თანაშემწეები;
ბ) პარლამენტის და მსგავსი საკანონმდებლო ორგანოს წევრები;
გ) პოლიტიკური პარტიების მმართველი ორგანოების წევრები;
დ) უზენაესი სასამართლოების, საკონსტიტუციო სასამართლოების ან სხვა მაღალი დონის სასამართლო ორგანოების წევრები, რომელთა გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება შემდგომ გასაჩივრებას, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა;
ე) აუდიტორთა პალატის ან ცენტრალური ბანკის გამგეობის წევრები;
ვ) სახელმწიფო საწარმოების ადმინისტრციული, მართვის, ან სამეთვალყურეო ორგანოების წევრები;
ზ) საერთაშორისო ორგანიზაციების დირექტორები, დირექტორების მოადგილეები და დირექტორთა საბჭოს ან ექვივალენტური ფუნქციების ორგანოს წევრები;
თ) სხვა პირები, რომლებიც მნიშვნელოვან პოლიტიკურ პირებად მიიჩნევა მოქმედი კანონების შესაბამისად.

წინამდებარე პოლიტიკაში გამოყენებულ სხვა ტერმინებს აქვთ „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ 2019 წლის 30 ოქტომბრის No.5226-Iს საქართველოს კანონით განსაზღვრული მნიშვნელობები.

მუხლი 5 - AML შესაბამისობის ოფიცერი

5.1. წინამდებარე პოლიტიკის დარღვევებზე ზედამხედველობის მიზნით, ფონდში ინიშნება შესაბამისობის ოფიცერი (შემდგომში „**შესაბამისობის ოფიცერი**“).

ა) შესაბამისობის ოფიცერი პოლიტიკით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ამ პოლიტიკის საერთო ზედამხედველობას, კერძოდ, შესაბამისობის ოფიცერი:

- განსაზღვრავს პოლიტიკასთან შესაბამისობას ფონდის თანამშრომლებისათვის;
- წყვეტს ამ პოლიტიკის სათანადო შესრულების პროცესში წარმოშობილ სხვა საკითხებს.

ამასთან და მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ვინაიდან ფონდში პროექტების ინიცირებას, განვითარებას და განხორციელებას უზრუნველყოფენ ფონდის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები/თანამშრომლები, წინამდებარე პოლიტიკის დამტკიცების თარიღიდან, ნებისმიერი პროექტის შემთხვევაში, ფონდის შესაბამისი თანამშრომელი/სტრუქტურული ერთეული, რომელიც ახორციელებს/ზედამხედველობს პროექტს („პროექტის მენეჯერი“), ვალდებულია შესაბამისობის ოფიცერს წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

- კონტრაჰენტების ექსპერტიზის შედეგები;

- კონტრაჰენტის მიერ შევსებული და ხელმოწერილი AML-კითხვარები და ამ პოლიტიკის განსახორციელებლად საჭირო სხვა ტიპიური დოკუმენტაცია.

ბ) შესაბამისობის ოფიცერი არის ფონდის თანამშრომელი, იგი ინიშნება დირექტორის მიერ, აუდიტის კომიტეტის რეკომენდაციით. შესაბამისობის ოფიცრის უფლებამოსილება იწყება დირექტორის ბრძანების თარიღში. შესაბამისობის ოფიცერი თანამდებობიდან თავისუფლება დირექტორის მიერ. იგი ვალდებულია შეასრულოს დირექტორის გადაწყვეტილებები და ბრძანებები. შესაბამისობის ოფიცრის უფლებამოსილება/პასუხისმგებლობა წყდება შესაბამისობის ოფიცრის მიერ აღნიშნულის თაობაზე წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე, განცხადების თარიღში და/ან შესაბამისობის ოფიცერთან დადებული შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე.

შესაბამისობის ოფიცერი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე. შესაბამისობის ოფიცრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, დირექტორი ვალდებულია, აღნიშნული რომელიმე გარემოების დადგომიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დანიშნოს მის ადგილზე სხვა პირი.

გ) იმისათვის, რომ შეძლოს წინამდებარე პოლიტიკის სათანადოდ განხორციელების უზრუნველყოფა, შესაბამისობის ოფიცერი უნდა აკმაყოფილებდეს თანამდებობრივ მოთხოვნებს, კერძოდ, უნდა იცოდეს საქართველოს AML/CFT კანონები, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა და AML/CFT სფეროში მოქმედი საბაზრო სტანდარტები, სასურველია-ჰქონდეს AML/CFT-ში კვალიფიკაციის შესაბამისი სერტიფიკატები და ესმოდეს AML/CFT ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელების პროცესი.

მუხლი 6 - კონტრაჰენტების ექპერტიზა

კონტრაჰენტების ექსპერტიზა (შემდგომში „CDD“) ხორციელდება პროექტის ინიცირებაზე/განვითარებაზე/განხორციელებაზე უფლებამოსილი ფონდის თანამშრომლის/სტრუქტურული ერთეულის - პროექტის მენეჯერის მიერ. ეს პროცესი მოიცავს შემცდეგს:

6.1. *კონტრაჰენტის იდენტიფიცირება და გადამოწმება*

კონტრაჰენტის იდენტიფიცირებისა და გადამოწმების მიზნით, პროექტის მენეჯერი მოიპოვებს და შესაბამისობის ოფიცერს წერილობით წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას:

- კონტრაჰენტის სახელი და გვარი სრულად (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
- კონტრაჰენტის დასახელება (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- კონტრაჰენტის წარმომადგენლის საიდენტიფიკაციო მონაცემები:
- კონტრაჰენტის UBO (UBO-ები) .

ფონდის შესაბამისი პროექტის მენეჯერი ვალდებულია ითანამშრომლოს შესაბამისობის ოფიცერთან და იმოქმედოს შესაბამისობის ოფიცრის ინსტრუქციების შესაბამისად.

6.2. კონტრაჰენტის რისკის შეფასება

კონტრაჰენტის რისკის შეფასების/პროფილის შედგენის მიზნით, პროექტის მენეჯერი მოიპოვებს და შესაბამისობის ოფიცერს წერილობით წარუდგენს შემდეგ ინფორმაციას:

- დასაქმების მიზანი და ეკონომიკური დასაბუთება;
- კონტრაჰენტის საცხოვრებელი/რეგისტრაციის ქვეყანა (კომპანიის შემთხვევაში, დამატებით მისი UBO-ს (ან UBO-ების) ვინაობა და საცხოვრებელი ქვეყანა); ვინაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ნებისმიერი ინფორმაცია შესაძლო კონტრაჰენტის (მისი UBO/UBO-ების) მონაწილეობის შესახებ ფულის გათეთრებაში / ტერორიზმის დაფინანსებაში.;
- იურიდიული პირის შემთხვევაში, ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან/ინფორმაცია კონტრაჰენტის კარგი კორპორატიული მდგომარეობის შესახებ;
- იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული სტრუქტურა;
- წარმომადგენლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია.

6.3. პროექტის მენეჯერი ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი კონტრაჰენტის მიერ ფონდის სტანდარტული AML-კითხვარის შევსება და ხელმოწერა.

6.4. შესაბამისობის ოფიცერი ამოწმებს პროექტის მენეჯერის მიერ მოპოვებულ და მისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას.

6.5. ინფორმაციის/დოკუმენტების ზემოთ მოცემული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის, შეიძლება განახლდეს/შეიცვალოს შესაბამისობის ოფიცრის მიერ, და ნებისმიერ შემთხვევაში უნდა მიეთითოს, რომ კონტრაჰენტის იდენტიფიკაციისა და შემოწმების მთავარი მიზანი არის საწარმოსა და მისი UBO (UBO-ების) მდგომარეობის დადგენა.

6.6. შესაბამისობის ოფიცერს შეუძლია გონივრული გზით პროექტის მენეჯერთან დააზუსტოს/მოითხოვოს კონტრაჰენტისაგან ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, რათა სათანადოდ შეაფასოს ზემოთ მითითებული ინფორმაცია/დოკუმენტები, შეაფასოს და მოინიშნოს პოტენციულ კონტრაჰენტთან დაკავშირებული რისკები შესაბამისი რისკ-მატრიცის მეშვეობით (იხილეთ ქვემოთ, დანართ 1-ში) და რისკებზე დაფუძნებული მიდგომის შესაბამისად.

6.7. ფონდი/პროექტის მენეჯერი ვალდებულია უზრუნველყოს ზემოაღნიშნული დოკუმენტების ასლების შენახვა სულ მცირე 5-წლიანი პერიოდით კონტრაჰენტთან საქმიანი ურთიერთობების შეწყვეტის შემდეგ.

6.8. ფონდი ვალდებულია უარი თქვას მიუღებლად მაღალი რისკის მქონე კონტრაჰენტებთან თანამშრომლობაზე.

6.9. მაღალი რისკის მქონე კონტრაჰენტებისთვის თანამშრომლობის ნებართვას (ამასთან, შესაბამისი ხელშეკრულების/შეთანხმების ხელმოწერა განიმარტება როგორც ნებართვა) იძლევა ფონდის დირექტორი პროექტის მენეჯერის წერილობითი წარდგინების საფუძველზე, ხოლო საშუალო და დაბალი რისკის მქონე კონტრაჰენტების შემთხვევაში, კონტრაჰენტთან ხელშეკრულების დადება არ საჭიროებს დირექტორის და/ან შესაბამისობოს ოფიცრის ნებართვას.

6.10. პროექტის მენეჯერი ვალდებულია შესაბამისობის ოფიცერს წარუდგინოს წერილობითი შეტყობინება კონტრაჰენტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ნებისმიერი რელევანტური ცვლილების თაობაზე. შესაბამისობის ოფიცერი უზრუნველყოფს პროექტის მენეჯერის მიერ წარმოდგენილი კონტრაჰენტების ექსპერტიზის შემდგომი რისკების ცვლილებების მონიტორიგს და საჭიროების შემთხვევაში ადგენს რისკების ხელახლა შეფასების საჭიროებას კონტრაჰენტისაგან სათანადოდ მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ასეთი რისკები ფასდება:

6.10.1. მაღალი რისკის კონტრაჰენტის შემთხვევაში - ყოველწლიურად;
6.10.2. საშუალო რისკის კონტრაჰენტის შემთხვევაში - ყოველ 2 წელიწადში ერთხელ;
6.10.3. დაბალი რისკის კონტრაჰენტის შემთხვევაში - ყოველ 3 წელიწადში ერთხელ.

6.11. ფონდის ყველა შესაბამისი თანამშრომელი ვალდებულია წერილობითი ფორმით გაუმჟღავნოს შესაბამისობის ოფიცერს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც კავშირშია კონტრაჰენტის რისკის შეფასებასთან, კონტრაჰენტის ექსპერტიზასთან და/ან ექსპერტიზის შემდგომი რისკების ცვლილებების მონიტორინგთან.

6.12. იმ შემთხვევაში თუ პროექტის მენეჯერი/ფონდის ნებისმიერი თანამშრომელი შესაბამისობის ოფიცერს არ წარუდგენს კონტრაჰენტთან დაკავშირებულ ინფორმაციას ამ პოლიტიკის შესაბამისად, პროექტის მენეჯერი/ფონდის ნებისმიერი თანამშრომელი პასუხისმგებელია ამ პოლიტიკის განუხრელ დაცვასა და შესაბამისი ინფორმაციის მოპოვება/შენახვაზე.

მუხლი 7 - ანგარიშგება

7.1. ყველა თანამშრომელი ვალდებულია აცნობოს შესაბამისობის ოფიცერს, თუკი შეიტყობს ან ეჭვი გაუჩნდება, რომ საქმიანობის პროცესში ადგილი აქვს ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევებს, ან მოიპოვებენ ინფორმაციას, რომლითაც მათთვის ცნობილი გახდება, ან გაუჩნდებათ ეჭვი, ან წარმოეშვებათ საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ესა თუ პირი ჩართულია ფულის გათეთრებაში და დანაშაულებრივი შემოსავლის მიღებაში, ტერორისტულ საქმიანობაში ან ტერორიზმის დაფინანსებაში.

7.2. თუ ფონდის რომელიმე თანამშრომელს აქვს ინფორმაცია ფონდის, მისი მმართველი რგოლის ან სხვა თანამშრომლის საქმიანობის შესახებ, რომლებიც არღვევენ ამ პოლიტიკის მოთხოვნებს ან მათი საქმიანობა შეიძლება მიჩნეული იქნას როგორც ფულის გათეთრება ან ტერორიზმის დაფინანსება ან რაიმე გზით უკავშირდება ფულის გათეთრებას ან ტერირიზმის დაფინანსებას, ასეთი თანამშრომელი ვალდებულია წარუდგინოს შესაბამისობის ოფიცერს ანგარიში ან საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, ანონიმური ანგარიში (უფრო დაწვრილებით, იხილეთ ფონდის მამხილებელთა დაცვის პოლიტიკა) და მის ხელთ არსებული ყველა მტკიცებულება.

7.3. ამ პოლიტიკის შესაბამისად, წერილობითი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, შესაბამისობის ოფიცერი უფლებამოსილია ფონდის ნებისმიერ ორგანოს, კომისიას, კომიტეტს, ასოცირებულ პირს, ფონდის შესაბამის სამსახურებს/დეპარტამენტებს და მათ ხელმძღვანელებს და/ან ნებისმიერ პირს, ვისაც მიზანშეწონილად მიიჩნევს შესაბამისობის ოფიცერი, დაავალოს მიღებული ანგარიშის შესწავლა და შესაბამისი მითითებებისა და რეკომენდაციების შემუშავებაში მხარდაჭერა.

7.4. გამოძიების შედეგებსა და შესაბამისობოს ოფიცრის წინანდებებთან დაკავშირებით, შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს და აღასრულებს დირექტორი.

მუხლი 8 - ტრენინგები

8.1. შესაბამისობის ოფცერი უშუალოდ ან აღნიშნული მიზნით დაქირავებული მესამე პირების მეშვეობით უტარებს ტრენინგებს ფონდის ყველა თანამშრომელს, რომლებიც ჩართულნი არიან პროექტების განხორციელებაში, რათა უზრუნველყოს, რომ თანამშრომლები იცნობენ ამ პოლიტიკას, მათ ვალდებულებებს და მათთვის გასაგებია აქ მითითებული AML/CFT-ის ძირითადი პრინციპები და მიზნები. ასეთი ტრენინგები უნდა ტარდებოდეს ყოველწლიურად.

8.2. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, თითოეული თანამშრომელი ვალდებულია დამოუკიდებლად გაეცნოს და განუხრელად დაიცვას წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნები.

მუხლი 9 - შიდა აუდიტი

9.1. ფონდის აუდიტის კომიტეტი ატარებს AML/CFT-ის ღონისძიებების შესრულების შიდა აუდიტს, აფასებს მათ ეფექტურობასა და საკმარისობას ფონდში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრაქტიკის პრევენციისათვის. ასეთი აუდიტის შედეგები დირექტორს წარედგინება აუდიტის კომიტეტის მიერ. ფონდს შეუძლია ასევე დაიქირაოს მესამე მხარე აუდიტის ჩასატარებლად. აუდიტის შედეგების საფუძველზე, წინამდებარე პოლიტიკა შეიძება დაექვემდებაროს განახლებას.

9.2. აუდიტი უნდა ჩატარდეს მინიმუმ ყოველ 2 წელიწადში ერთხელ.

მუხლი 10 - დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე პოლიტიკა მოქმედებს ფონდის დირექტორის მიერ მისი შესაბამისი ბრძანებით დამტკიცების თარიღიდან.

10.2. წინამდებარე პოლიტიკას არ აქვს უკუქცევითი ძალა.

დანართი 1

რისკის მატრიცა

ქვემოთ მოცემულია იმ ინდიკატორების არასრული ჩამონათვალი, რომელთა გათვალისწინებაც საჭიროა კონტრაჰენტის რისკის დონის შეფასებისა და განსაზღვრისათვის.

რისკის დონე	რისკის ინდიკატორი	რისკის ტიპის განსაზღვრის შესაძლო წყაროები
მიუღებლად მაღალი რისკი	კონტრაჰენტები, მათი UBO-ები, წარმომადგენლები ან თანამშრომლები არიან: • ტერორიზმთან დაკავშირებულ პირთა სიაში, ან ოფიციალურად არიან ეჭვმიტანილნი ტერორიზმის დაფინანსებაში და/ან ფულის გათეთრებაში • რეგისტრირებულნი ან ცხოვრობენ ქვეყნებში, რომლებიც ხელს უწყობენ საერთაშორისო ტერორისტულ საქმიანობებს, ან ქვეყნებში, რომელთა მიმართაც დაწესებულია სანქციები, ემბარგო ან მსგავსი ზომები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიროების საჭოს მიერ ან საქართველოს კანონმდებლობით, და ეს ცნობილია საიმედო წყაროებიდან • რუსეთის ფედერაციის მფლობელობაში ან მისი კონტროლის ქვეშ კონტრაჰენტები, რომლებიც იძლევიან არასაკმარის, ცრუ ან საეჭვო ინფორმაციას ან თავს არიდებენ სრული ინფორმაციის მიწოდებას, ან რომელთა მიმართაც (მათი UBO-ების ჩათვლით, თუ ჰყავთ) შეუძლებელია თანამშრომლობის მიზნისა და ეკონომიკური დასაბუთების დადგენა, ან შეუძლებელია იდენტიფიკაციისა და გადამოწმების განხორციელება	ტერორისტების საჯაროდ ხელმისაწვდომი სია (იხილეთ https://www.consilium.europa.eu/en/policies/fight-against-terrorism/terrorist-list/ ან ინფორმაცია სხვა სანდო წყაროებიდან) უცხოური ან ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების ვებგვერდები: გაეროს ვებგვერდი, უშიშროების საბჭოს მიერ დაწესებული სანქციების შესახებ ინფორმაციისათვის il https://www.un.org/sc/suborg/en/sanctions/; აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის ვებგვერდი http://www.state.gov/j/ct/list/c14151.htm
მაღალი რისკი	• კონტრაჰენტები. მათი UBO-ები, წარმომადგენლები ან თანამშრომლები დაფუძნებულნი	ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, მაგ: http://www.fatf-

	არიან ან იმყოფებიან ქვეყნებში, რომლებიც მიჩნეულია მაღალი რისკი ქვეყნებად FATF-ის რეკომენდაციის თანახმად, ან რუსეთის ფედერაციაში; • კონტრაჰენტები. მათი UBO-ები, წარმომადგენლები ან თანამშრომლები არიან PEP-ები ან მათი ოჯახის წევრები, ან ასეთი PEP-ების ახლო ასოცირებული პირები; • სანდო წყაროებით, მასმედია უარყოფითად აშუქებს კონტრაგენტის საქმიანობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ იგი შეიძლება მონაწილეობდეს ფულის გათეთრებაში ან ტერორიზმის დაფინანსებაში; • არაკომერციული, საქველმოქმედო, რელიგიური ორგანიზაციები (საერთაშორისო საქველმოქმედო და არაკომერციული ორგანიზაციების გარდა); • ლატარეების ორგანიზებისა და აზარტული თამაშების კომპანიები (კაზინოებისა და ელექტრონული (ვიზუალური) კაზინოების ჩათვლით); • კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ ვალუტის გაცვლას და/ან ფულად გადარიცხვების სერვისებს (ბანკების გარდა), ვირტუალური ვალუტის ოპერატორები; • კომპანიები, რომელთა საქმიანობა უკავშირდება იარაღის, თავდაცვის აღჭურვილობის წარმოებასა და გაყიდვას (იარაღის დილერები / მწარმოებლები) • უცხოური ფინანსური დაწესებულებები (ევროკავშირის ან FATF წევრ ქვეყნებში რეგისტრირებულის გარდა, რომლებთანაც დამყარებულია საკორესპონდენტო ურთიერთობები)	gafi.org/publications/high-risk-and-other-monitored-jurisdictions/?hf=10&b=0&s=desc(fatf_releasedate); PEP-ების სიები ინფორმაცია პოტენციური კონტრაგენტის კითხვარიდან, AML იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, ფინანსური ანგარიშებიდან, მედია-წყაროებიდან, უცხოური და ადგილობრივი სააგენტოების ვებგვერდებიდან.

	• კონტრაჰენტები, რომლებიც ითხოვენ ნაღდ ფულად ანგარიშსწორებებს, გადახდებს მესამე მხარეებისაგან, რომლებსაც არ აქვთ მკაფიო ან ლოგიკური კავშირი ასეთ კონტრაჰენტებთან ან გარიგების ოპერატორებთან	
საშუალო რისკი	კონტრაჰენტები, რომლებიც არ ხვდებიან აღწერაში „დაბალი რისკი“, „მაღალი რისკი“, და „მიუღებლად მაღალი რისკი“	
დაბალი რისკი	• სახელმწიფო ორგანოები • სახელმწიფო საწარმოები • საჯარო ვაჭრობის კომპანიები • ევროკავშირის სუბიექტი, პირი, ორგანო, ოფისი ან სააგენტო • საერთაშორისო ორგანიზაციები და დაწესებულებები. • თუ არ არის რაიმე მითითება მაღალ ან მიუღებლად მაღალ რისკზე.	ინფორმაცია პოტენციური კონტრაჰენტის კითხვარიდან, AML იდენტიფიკაციისათვის წარმოდგენილი დოკუმენტებიდან, ფინანსური ანგარიშებიდან, მედია-წყაროებიდან, უცხოური და ადგილობრივი სააგენტოების ვებგვერდებიდან, საფონდო ბირჟებიდან და ა.შ.